ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2991576

ნომერი: AR1460513

თარიღი : 30.11.2016

გაცემის თარიღი : 12.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ხმალაძე პ/ნ 01010004091
- ქვიშხეთის ქ.1ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1460513 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1457106 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას, ასევე ითხოვთ ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. #1ბ / ვარდისუბნის ქ. #6-ში (ს/კ #01.12.08.006.018) დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 05 ოვლისს #2685067 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა ქვიშხეთი, #1ბ / ქ. თბილისი, ქუჩა ვარდისუბანი, #6-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.12.08.006.018) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხორებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 2016 წლის 14 ივლისის #2714147 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2016 წლის 16 ნოემბერს #AR1457106 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. #1ბ / ვარდისუბნის ქ. #6-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში. 06.12.2016წ. #2951456 ბრძანებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წლის #2685067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხს ეთქვა უარი.

2016 წლის 08 დეკემბერს #AR1462303 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. #1ბ / ვარდისუბნის ქ. #6-ში (ს/კ #01.12.08.006.018) მრავალბინიანი საცხორებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ უნებართვოდ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (მის: ჟ. შარტავას ქ. #7)